ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 9

ქ. ონი 26. 09. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ : ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ონის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე